განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

## ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია

## თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

23 აგვისტო 2019 წელი

6. ნოემბერი 2019 წელი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211328703 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ფიზიკური მედიცინა და რეაბილიტაცია |
| განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრი 0906 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | აკრედიტებული<br>21/10/2011 №125202 |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ცოტნე სამადაშვილი, თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიების დასავლეთის რეგიონული ცენტრი, სამედიცინო დირექტორი, ქ. ქუთაისი |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ფიჩხაია, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, აფილირებული პროფესორი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ეკა აბჟანდაძე, „ვაბაკო“, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ლანა ბოკუჩავა, სტუდენტი-დოქტორანტი, ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტი, ასისტენტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2008 წლიდან. პროგრამა აკრედიტირებულია 2011 წელს. პროგრამის მიზანია, აღზარდოს კვალიფიცირებული პერსონალი, რომელიც დააკმაყოფილებს დარგში არსებულ თანამედროვე მოთხოვნებს და ქვეყანაში არსებულ დეფიციტს შეავსებს კვალიფიცირებული პერსონალით.
2011 წლის აკრედიტაციის შემდეგ პროგრამაში ბევრი ცვლილება განხორციელდა, შეიცვალა სტრუქტურა, სწავლის შედეგები, დაემატა გარკვეული კომპონენტები, ასევე მნიშვნელოვანი სამუშაო ჩატარდა მისი ინტერნაციონალიზაციის მხრივ. პროგრამას გადის, როგორც გარე, ასევე, შიდა მონიტორინგს. უნივერსიტეტის პარტნიორთა კონსულტირებით და რჩევებით, ის განიცდის მუდმივ განახლებას.
პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს და განაწილებულია შემდეგნაირად, პრეკლინიკური ეტაპი 120 ECTS (4 სემესტრი), კლინიკური ეტაპი 90 ECTS , კონსოლიდაციური ეტაპი 30 ECTS. პროგრამაში ასევე შედის არჩევითი საგნებიც (20 საგანი), რომლებიც ხელს უწყობენ პროფესიის ღრმად და საფუძვლიან სესწავლას. ზაკალავრიატზე სასწავლო ენა არის ქართული და დასრულების შემდეგ მინიჭებული კვალიფიკაცია: სამკურნალო ფიქზკულტურის და რეაბილიტაციის ბაკალავრია.
ბოლო წლების განმავლობაში შეიმჩნევა პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველთა მზარდი სტატისტიკა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**
  - 2019 წლის 23 აგვისტოს თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში შედგა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის (ცოტნე სამადაშვილი - თავმჯდომარე, გიორგი ფიჩხაია - წევრი, ლანა ბოკუჩავა - წევრი, ეკა აბჟანდაძე - წევრი) ვიზიტი, „სამკურნალო ფიზკულტურისა და რეაბილიტაციის" საბაკალავრო პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით. ვიზიტამდე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში და თანდართული დოკუმენტაცია. 22 აგვისტოს სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში შედგა ექსპერტთა ჯგუფის მოსამზადებელი შეხვედრა, რომელზეც განხილული იქნა აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლებთან განსახილველი საკითხების გარშემო დასასმელი შეკითხვები. ვიზიტის მსვლელობისას ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემოწმებულ იქნა პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსი, კერძოდ დათვალიერებულ იქნა უნივერსიტეტის ინფრასტრუქტურა - სალექციო აუდიტორიები, კომპიუტერული კლასები, პერსონალის სამუშაო სივრცეები, ბიბლიოთეკა, ასევე უნივერსიტეტის კუთვნილებაში არსებული სარეაბილიტაციო ცენტრი და საუნივერსიტეტო კლინიკა. წინასწარ დადგენილი დღის წესრიგის შესაბამისად ჩატარდა ინტერვიუები უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელთან, სამკურნალო ფიქკულტურისა და რეაბილიტაციის პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ

პერსონალთან, დამსაქმებლებთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან. ვიზიტის ბოლოს შედგა შემაჯამებელი შეხვედრა უნივერსიტეტის ხელმძღვანელ პირებთან ექსპერტთა ჯგუფის ზოგადი შეხედულებების და ძირითადი მიგნებების მათთვის გაზიარების მიზნით. შეხვედრები მიმდინარეობდა მშვიდ გარემოში და ჰქონდა თანამშრომლობითი ხასიათი.

- საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

პროგრამა აკმაყოფილებს და შესაბამისობაშია განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მოთხოვნებთან. თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი ცდილობს განავითაროს აღნიშნული პროგრამა და შესაბამისად უზრუნველყოს ყველა რესურსი პროგრამას განხორციელებისათვის.

სასწავლო პროგრამა აწყობილი და მოდელირებულია ის რომ აკმაყოფილებს სწავლის შედეგებს და იმ კომპეტენციებზე გასვლას რაც ეროვნული ჩარჩოთია გათვალისწინებული.

- რეკომენდაციები

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
  - ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტთა და აკადემიური პერსონალის მხრიდან გამოითქმული იყო აზრი იმის თაობაზე, რომ ზოგადად დარგი საჭიროებს მეტ პოპულარიზაციას, რაც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტისათვის მეტი სტუდენტის მოზიდვის ხელშეწყობაც იქნებოდა.

  - თანამედროვე ქართულენოვანი ლიტერატურის (ასევე თარგმნილის) შექმნის ხელშეწყობა უნივერსიტეტის მხრიდან, რაც საბაკალავრო პროგრამის სტუდენტების სწავლის შედეგებს სავარაუდოდ გააუმჯობესებდა და სწავლის პროცესს უფრო მარტივს გახდიდა. (ინტერვიუს შედეგების მიხედვით, პროფესორ მასწავლებელთა დიდი ნაწილი უკმაყოფილო იყო ახალი სტუდენტების დონით და ასევე დამქირავებლები სტუდენტთა მხრიდან უცხო ენის ცოდნის დაბალ დონეს აფიქსირებდა)
  - სასურველი იქნებოდა ბიბლიოთეკაში სამკითხველო სივრცის მოდერნიზება, რაც უფრო კომფორტულს გახდიდა მის მოხმარებას.

- აკადემიური პერსონალი აღნიშნავს პირველ კურსზე ჩარიცხულ სტუდენტთა მომზადების დაბალ დონეს, რასაც განაპირობებს ჩარიცხვისათვის საჭირო დაბალი ქულათა ჯამის ნიშნული. შესაბამისად პროგრამისათვის უკეტესი იქნებოდა მისაღებ სტუდენტთა სამიზნე ნიშნულის ბარიერის აწევა.

- პროგრამის პრაქტიკული ნაწილის, 7 და 8 სემესტრის სწავლის შედეგების და სტუდენტთა ამ კომპონენტში შეფასების სისტემის მეტად ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრა, ობიექტურობის და მისი შემდგომი განვითარების იოლი ინტერპრეტაციისათვის.

- სტუდენტებისთვის უმჯობესია მეტი დრო იყოს გამოყოფილი საწყის ეტაპზე კლინიკური უნარების ცენტრში მათი მეცადინეობისათვის. რაც ინტერვიუს შედეგებით დასტურდება

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
  - აღსანიშნავი მიღწევა, რაც პროგრამის მდგრადობას და მის პერსპექტიულობას განაპირობებს ეს არის ბოლო წლებში აქტიური ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელსაც უნივერსიტეტი აქტიურად ნერგავს და ატარებს დოკუმენტის მიხედვით, როგორც მთელს უნივერსიტეტში, ასევე აღნიშნული პროგრამის მიმართ. სადაც მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნება ამ მიმართულებით.

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

# პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა**
   პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1 პროგრამის მიზნები |
|---|
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება 2008 წლიდან, ხოლო აკრედიტაცია გავლილი აქვს 2011 წელს. მის მიზანს წარმოადგენს სწავლის შედეგებზე ფოკუსირებული და სწავლის შედეგებით გათვალისწინებული პრაქტიკული უნარებით აღჭურვაზე ორიენტირებული მიდგომით, მოამზადოს კომპეტენტური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალი. პროგრამის მიზნები სრულად ასახავს ქვეყნის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ სისტემაში რეაბილიტაციის სამსახურის განვითარების და განხორციელების გაზრდილ მოთხოვნას და მიმართულია მოსახლეობის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესებისაკენ და საგანამანათლებლო მიზნები სრულიად თავსებადია თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის მისიასთან, მიზნებსა და სტრატეგიასთან.<br>○ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამის დაძლევა კურსდამთავრებულს უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტების ცოდნითა და უნარ-ჩვევებით. პროგრამა ითვალისწინებს სტუდენტზე ორიენტირებულ, კომპლექსურ სწავლებას და მიზანმიმართულია მისი მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილების, კრიტიკული აზროვნების, ეთიკური და პროფესიული ღირებულებების გამომუშავების, ადგილობრივი და საზღვარგარეთის შრომითი ბაზრებისათვის მოთხოვნადი პროფესიონალის მომზადებისკენ. პროგრამით გათვალისწინებული კომპეტენციები და მომზადების თანამედროვე დონე განსაზღვრავს ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ბაკალავრის კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და შრომით ბაზარზე. |

- პროგრამის შემუშავებისას  გათვალისწინებული იყო შრომის ბაზრის და ასევე დაინტერესებულ მხარეთა მოთხოვნები (დარგობრივი ასოციაციები, კლინიკები) არსებული მოთხოვნები და მოსაზრებები. რომლის ანალიზსაც უნივერსიტეტი პერიოდულად ახორციელებს და მნიშვნელოვან როლს ანიჭებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თსსუ თვითშეფასების ანგარიში
- თსსუ-ის სტრატეგიული გეგმა
- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა
- შრომის ბაზრისა და _დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები
- თსსუ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- თსსუ ვებ გვერდი

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- აღსანიშნავი მიღწევა, რაც პროგრამის მდგრადობას და მის პერსპექტიულობას განაპირობებს ეს არის ბოლო წლებში აქტიური ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა, რომელსაც უნივერსიტეტი აქტიურად ნერგავს და ატარებს დოკუმენტის მიხედვით, როგორც მთელს უნივერსიტეტში, ასევე აღნიშნული პროგრამის მიმართ. სადაც მნიშვნელოვანი პროგრესი აღინიშნება ამ მიმართულებით.
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

| |
|---|
| ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>○ ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრიატის პროგრამა მიმართულია ამ დარგის სპეციალისტებისათვის სათანადო და აუცილებელი თეორიული ცოდნის შეძენისა და მისი პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების, პრაქტიკული და კვლევითი უნარ-ჩვევების გამომუშავებისკენ. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება ფიზიკური მედიცინისა და რეაბილიტაციის ბაკალავრის კვალიფიკაცია. პროგრამის სწავლის შედეგები გაწერილია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურისთვის დადგენილი მოთხოვნების საფუძველზე, 6 ზოგადი კომპეტენციის მიხედვით და ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი დარგობრივი ცოდნისა და უნარების განვითარებას, ასევე უზრუნველყოფს განათლების შემდეგ საფეხურზე, მაგისტრატურაში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობას. უნივერსიტეტში დადგენილი მექანიზმების შესაბამისად პროგრამის შემუშავებაში და მის შემდგომ განვითარებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე - აკადემიური/მოწვეული პერსონალი, სტუდენტი, კურსდამთავრებული, დამსაქმებელი, საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტი (ემორის სამედიცინო უნივერსიტეტი) დარგობრივი ასოციაციები და სხვა.<br>○ უნივერსიტეტს განსაზღვრული აქვს სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი. ამ მიზნით უნივერსიტეტი იკვლევს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელს, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების დონეს, კურსდამთავრებულებით დამსაქმებელთა კმაყოფილების დონეს, სტუდენტთა კამყოფილებისა და სტუდენტთა დასაქმებულობის დონეს. 2017 წლიდან აქტიურად მიმდინარეობს ხარისხის სამსახურის მიერ პროგრამის შეფასების პროცესი, რაშიც ჩართულია როგორც სტუდენტები, ასევე აკადემიური პერსონალი, დამსაქმებლები და ყველა დაინტერესებული მხარე. თსსუ პროგრამების დაგეგმვა/შექმნა/ცვლილების განხორციელებაში ჩართულები არიან პოტენციური დამსაქმებლები და მათი წარმომადგენლები კურიკულუმის კომიტეტებში.<br>○ უნივერსიტეტს პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად შემუშავებული აქვს „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების შეფასების წესი“, რომელშიც განსაზღვრულია სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები, ეტაპები, მეთოდები, პროცედურების ერთობლიობა, რაც გულისხმობს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, მათ შეგროვებას და მონაცემთა ანალიზს. უნივერსიტეტი |

პროგრამის სწავლის შედეგების შესაფასებლად იყენებას ორი სახის მეთოდს: პირდაპირს (კონკრეტულ სასწავლო კურსში წარმოდგენილი ცოდნის შემოწმების ფორმები - ტესტი, ქუიზი, გამოცდა, თუ სხვა სახის აქტივობები) და არაპირდაპირს (სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები, კურსდამთავრებულების რაოდენობა და საბოლოო შეფასება, დასაქმებისა და სწავლის შემდგომ საფეხურზე გაგრძელების მაჩვენებლები, და სხვ. ჩვენი აზრით დასახვეწია პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი, რომელიც ამ ეტაპზე საპილოტე რეჟიმშია და სავარაუდოდ სათანადო შედეგზე გავა.

- 
- 
- 
  - საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა; ანალიზში უნდა აისახოს პრობლემატური საკითხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თსსუ თვითშეფასების ანგარიში
- თსსუ-ის სტრატეგიული გეგმა
- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა
- შრომის ბაზრისა და _დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი
- ინტერვიუს შედეგები
- თსსუ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა
- თსსუ ვებ გვერდი
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა და კურიკულუმის რუკა
- პროგრამის _სილაბუსები
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი“
- თბილისის _სახელმწიფო _სამედიცინო _უნივერსიტეტის _საგანმანათლებლო _პროგრამების _სწავლის _შედეგების _შეფასების _წესი,_ _თსსუ-_ის _აკადემიური _საბჭოს _2_0_1_9_ _წლის _2_6_ _თებერვლის _№2_4_/_4_ _დადგენილება
- შრომის _ბაზრისა _და _დამსაქმებელთა _მოთხოვნების _ანალიზი
- პროგრამის _მიზნების _და _სწავლის _შედეგების _რუკა _და _კურიკულუმის _რუკა

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

პროგრამის პრაქტიკული ნაწილის, 7 და 8 სემესტრის სწავლის შედეგების და სტუდენტთა ამ კომპონენტში შეფასების სისტემის მეტად ობიექტური კრიტერიუმების განსაზღვრა,

| |
|---|
| ობიექტურობის და მისი შემდგომი განვითარების იოლი ინტერპრეტაციისათვის.<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | x | | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სტუდენტთა ჩარიცხვა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. საბაკალავრო პროგრამებზე თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსი ენიჭება იმ პირს, რომელმაც შესაბამისი ერთიანი ეროვნული გამოცდები გაიარა, ,,უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დამტკიცებული წესის შესაბამისად, ადმინისტრაციული რეგისტრაციის გავლისა და თსსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე. გარდა ამისა, აბიტურიენტების ინტერესთა გათვალისწინებით (უცხო ქვეყნის მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები და სხვა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევები) თსსუ-ის სტუდენტის სტატუსის მოპოვება შესაძლებელია ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში და თსსუ-ის რექტორის ბრძანების საფუძველზე. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესალებელია მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად და თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის, შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესის შესაბამისად. თსსუ წლის განმავლობაში ორჯერ (შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრების დაწყების წინ) ახორციელებს სტუდენტთა მობილობას, მათ შორის, ე.წ. შიდა მობილობას - უნივერსიტეტის ფარგლებში ერთი საგანმანათლებლო პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა გადასვლა. თსსუ–ში სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სტუდენტთა მობილობის პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი კანონმდებლობით დადგენილი წესით. რეგისტრაციის დასრულების შემდგომ, განცხადებები, თსსუ–ის რექტორის შესაბამის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით დადგენილ დოკუმენტებთან (ასლებთან) ერთად განსახილველად გადაეცემა შესაბამის ფაკულტეტს. საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.<br>ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამაზე 2014 წლიდან ყველა საგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვარი გაიზარდა და იყო 30%+1, ხოლო შემდეგ, 2017 წლიდან გახდა 35%+1, რამაც განაპირობა პროგრამის სწავლის შედეგების დასაძლევად აუცილებელი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაზე სასწავლებლად ჩართვა, რასაც მოჰყვა 2011-2014 წლებთან შედარებით აკადემიური მოსწრების და სწავლის შედეგების მიღწევის გაუმჯობესება.<br>○ |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები** |

- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის სა ბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა
- საქართველოს კანონი „ უმაღლესი განათლების შესახებ “ თბილისის სახელმწიფო
- სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის , შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი
- სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკის ანალიზი
- www.tsmu.edu
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

პროგრამა დამყარებულია კვლევაზე და მოიცავს 9 მრავალკომპონენტიან თეორიულ-პრაქტიკულ ბლოკს, რომელთა განხორციელება ხდება სამ ეტაპად: პრეკლინიკური 120 ECTS, კლინიკური (პრეკონსოლიდაციური) 90 ECTS და კონსოლიდაციის 30 ECTS), ეტაპები. საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმი შედგენილია ლოგიკურად, თანმიმდევრულობისა და საფეხურებრივი გაღრმავების და განმტკიცების, ზოგადი კურსებიდან სპეციალურისკენ თანმიმდევრული გადასვლის პრინციპით, რაც უზრუნველყოფილია ლოგიკური წინაპირობების პრინციპით და განაპირობებს საგანთა აუცილებელი თანმიმდევრობის დაცვას. თითოეული სასწავლო კომპონენტისათვის მისანიჭებელი კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია კომპონენტის შინაარსობრივ მხარესთან და უზრუნველყოფს სასურველი შედეგის მიღწევას, შესაბამისად, ცალკეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგების ერთობლიობა ქმნის პროგრამის სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. პროგრამის ხელმისაწვდომობა და საჯაროობა უზრუნველყოფილია მისი განთავსებით უნივერსიტეტის ვებგვერდზე. ასევე, თსსუ-ის ვებგვერდზე განთავსებულია პროგრამის სილაბუსების ელექტრონული ვერსია და აკადემიური კალენდარი.

- 

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა
- კურიკულუმის რუკა
- პროგრამის სილაბუსები
- პროგრამის შედგენასა და განვითარებაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია / ინფორმაცია
- თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის „ საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების , დამტკიცების , მასში ცვლილებების შეტანის და გაუქმების წესი “
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

| |
|---|
| **შეფასება**<br><br>ο გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.3. სასწავლო კურსი |
|---|
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>○ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. პროგრამის ყველა კურსის სილაბუსი შედგენილია უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს საბაკალავრო საფეხურის მოთხოვნების შესაბამისად და უზრუნველყოფს კვალიფიკაციათა აღმწერით განსაზღვრული საბაკალავრო დონის შედეგების მიღწევას. ასწავლო კურსში მოცემული შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3, 05.01.2007 ბრძანებით გათვალისწინებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლება-სწავლის მეთოდის გათვალისწინებით (ლექცია, სემინარი, პრაქტიკული და ლაბორატორიული მეცადინეებები და სხვა) განსხვავდება და შეესაბამება კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო კურსით განსაზღვრული ყველა სწავლის შედეგი გაზომვადია და ადეკვატურად ფასდება - გამოიყენება სტუდენტთა ცოდნის შეფასების შესაბამისი კომპონენტები - აქტივობა, ზეპირი გამოკითხვა, ტესტი, ქუიზი, პრაქტკიული სამუშაო, საშინაო დავალებები, |

პრეზენტაცია, პროექტი, დასკვნითი გამოცდა. ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში მითითებულია სავალდებულო და დამატებითი სასწავლო მასალა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა და კურიკულუმის რუკა
- პროგრამის სილაბუსები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

**მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
- 

**შეფასება**

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u>

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების

განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

- სტუდენტის პრაქტიკული უნარების განვითარების უზრუნველყოფის მიზნით პროგრამის ძირითადი კურსების უმეტესობა ითვალისწინებს პრაქტიკას (ე.წ. თეორიულ კურსებში ჩაშენებული პრაქტიკა), რომელიც ფოკუსირებულია შესაბამისი სასწავლო კურსის შინაარსით განპირობებულ თემატიკაზე, ასევე ითვალისწინებს მცირე კვლევითი უნარების განმავითარებელ კომპონენტებს - რეფერატს, პრეზენტაციას (შერჩეული თემის მომზადებას რელევანტური კვლევის მეთოდების გამოყენებით), კლინიკური შემთხვევის დამუშავებას კვლევითი მეთოდების და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის შედეგების გამოიყენებით. კლინიკური პრაქტიკის შესაფასებლად გამოიყენება რაოდენობრივი და თვისობრივი/ხარისხობრივი მაჩვენებლები (კომუნიკაცია, პერსონალური განვითარება, ხარისხი, პაციენტის გამოკვლევა და მართვა, ინტერვენცია, პროფესიონალიზმი, უსაფრთხოება, თანასწორობა და განსხვავებულობა) და მათი აღმწერი რუბრიკები. ამასთანავე, ხარისხობრივი მაჩვენებლების შესაფასებლად გამოიყენება კლინიკური შემთხვევის განხილვის კომპონენტი, სათანადო რუბრიკებით. სისტემატიურად ხორციელდება ე.წ. ზამთრის და ზაფხულის სკოლა-სტაჟირებები. საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა კვლევით პროექტებში, თსსუ-ის ივანე თარხნიშვილის სახელობის სტუდენტურ სამეცნიერო საზოგადოების მიერ განხორციელებულ კონფერენციებში და სხვა კვლევით აქტივობებში.სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ დაესწრონ/ მონაწილეობა მიიღონ თსსუ-ის მიერ ორგანიზებულ სამეცნიერო კონფერენციებში სხვადასხვა თემაზე, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის პრობლემატიკის ჩათვლით.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა
- პროგრამის სილაბუსები
- ხელშეკრულებები / მემორანდუმები ეკონომიკურ აგენტებთან და პრაქტიკის ობიექტებთან
- თსსუ - ის ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის საბჭოს ოქმები
- ჩატარებული სამეცნიერო ფესტივალების პროგრამები
- ინტერვიუს შედეგები

**რეკომენდაციები:**

| |
|---|
| წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ <u>შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები** |
| პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. გამოიყენება სწავლების სხვადასხვა ფორმები და მეთოდები - ინტერაქტიული ლექციები, სემინარები, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლება/კლინიკური შემთხვევის შესწავლა, პრაქტიკული მეცადინეობები, ლაბორატორიული სავარჯიშოები, სწავლება სიმულატორებისა და მულაჟების გამოყენებით, სწავლა გამოცდილებით/კლინიკური პრაქტიკა, ჯგუფური მუშაობა, გონებრივი იერიში, როლური და სიტუაციური თამაშები, მონაცემთა ანალიზი, დისკუსია/დებატები, დემონსტრირების მეთოდი. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3, 05.01.2007 ბრძანებით გათვალისწინებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების სწავლება-სწავლის მეთოდებს. სწავლების მეთოდების სასწავლო კურსთან შესაბამისობის და ეფექტურობის შეფასების მიზნით სისტემატიურად ხორციელდება სტუდენტების გამოკითხვა და ხდება აკადემიური და მოწვეული პერსონალის მოსაზრებების გაზიარება, |

| |
|---|
| ხოლო მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე, საჭიროების შემთხვევაში, სწავლის უკეთესი შედეგის მისაღწევად, განიხილება საკითხი ცალკეული მეთოდის შენარჩუნებისა ან, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, მისი უფრო მოქნილი მეთოდით ჩანაცვლების შესახებ. მაგ., პროგრამის რამდენიმე კურსში (შესავალი სპეციალობაში 1&2, ფიზიკური დატვირთვის ფიზიოლოგია და ბიოქიმია, ასევე, დინამიკური ანატომია 1&2პილოტირების რეჟიმში ). 2018-2019 სასწავლო წლიდან გამოიყენება პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება. თსსუ-ში შემუშავებულია და მოქმედებს სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის (გრაფიკის) შემუშავება ხდება: – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების გამო, – საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო გეგმით სწავლის გაგრძელების შეუძლებლობის და განსაკუთრებული საგანმანათლებლო საჭიროების სპეციფიკის გათვალისწინებით; – სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების (მობილობით და შიდა მობილობით ჩარიცხული სტუდენტები, უცხოეთში გაცვლით პროგრამაში მონაწილე და უცხოეთში სტაჟირებაგავლილი პირები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტები, სხვადასხვა პატივსადები მიზეზების გამო პროგრამის გამცდენი სტუდენტები და სხვ.), სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების და აკადემიური მომზადების, აგრეთვე, საგანმანათლებლო პროცესში მათი შეუფერხებელი ჩართულობის უზრუნველსაყოფად; ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, აგრეთვე, შეიძლება შეიქმნას უნივერსიტეტის მიერ ინიცირებული საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შემთხვევაში. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკალავრო პროგრამა<br>○ პროგრამის სილაბუსები<br>○ სტუდენტების გამოკითხვა პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტებში<br>○ სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში სტუდენტთა მობილობის , შიდა მობილობისა და სწავლის პერიოდში მიღებული განათლების კრედიტების აღიარების წესი<br>○ თსსუ - ის სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| რეკომენდაციები:<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |

| |
|---|
| შეფასება<br><br>ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br><u>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან</u><br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| 2.6. სტუდენტების შეფასება |
| სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>სტუდენტების შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.2007 (ბრძანება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ") შესაბამისად და რეგულირდება თსსუ–ის სტუდენტის მიღწევების შეფასების წესით და თსსუ-ის გამოცდებისა და უნარ-ჩვევების შეფასების ცენტრში გამოცდის ჩატარების წესით. შეფასების სისტემა გამოიყენება ყველა სტუდენტის მიმართ. შეფასების სისტემა ტრანსპარენტულია, უზრუნველყოფილია კრიტერიუმების საჯაროობით, ცოდნისა და უნარების შეფასების რელევანტური მეთოდებისა და სტრატეგიების გამოყენებით. პროგრამის შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და უზრუნველყოფს თითოეული კურსის მიზნებისა და სწავლის შედეგების შეფასებას.შეფასების სისტემა შედგება შუალედური და დასკვნითი შეფასების ფორმებისგან. თანაფარდობა შუალედურ და ფინალურ  შეფასებებს შორის შემდეგია: 60+40=100. პროგრამაში არსებული სასწავლო კურსების  შეფასების სისტემა პროგრამის სწავლის შედეგებს შეესაბამება. შუალედური და დასკვნითი შეფასებები ხორციელდება რამდენიმე კომპონენტის მიხედვით: შუალედური (მაქს. 60) - აქტივობა, დისკუსიაში მონაწილეობა, საშინაო დავალება, სემინარზე მუშაობა, პრაქტიკული სამუშაო, კოლოკვიუმი, ქუიზი, წერითი ნაშრომი, ზეპირი გამოკითხვა, რეფერატი, პრეზენტაცია, კლინიკური შემთხვევის გარჩევა, და სხვ. ასევე, მე-7 და მე-8 სემესტრებში სტუდენტი მუშაობს პორტფოლიოს შედგენაზე. დასკვნითი გამოცდა ფასდება მაქსიმუმ 40 ქულით და შეიძლება მოიცავდეს ერთს ან რამდენიმე კომპონენტს (წერითი ტესტი, ზეპირი პასუხი, პრაქტიკული უნარების დემონსტრაცია, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდა).  შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის დადგენილია მინიმალური კომპეტენციის  ზღვარი: სტუდენტი გამოცდაზე დაიშვება, თუ შუალედური შეფასება მაქსიმალური შეფასების 11% და მეტია. საბაკალავრო პროგრამაში დასკვნითი გამოცდის შეფასება დადებითია სტუდენტის მიერ 20 და მეტი ქულის (გამოცდის მაქსიმალური შეფასების 50% და მეტი) მიღების შემთხვევაში. გარდა ამისა, მრავალკომპონენტიანი გამოცდის შემთხვევაში, კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია თითოეული კომპონენტისთვის დადგინდეს კომპეტენციის მინიმალური ზღვარი.  პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი |

| |
|---|
| იცნობს შეფასების თანამედროვე მეთოდებს. სწავლების პრეკლინიკურ ეტაპზე პროგრამის შედეგებით გათვალისწინებული კლინიკური უნარ-ჩვევები ფასდება ფორმაციულად და რანდომულად. მეხუთე სემესტრში, ობიექტურად სტრუქტურირებული კლინიკური გამოცდის (OSCE-ის) ფორმატით. პროგრამის განმახორციელებელ დეპარტამენტებში რეგულარულად მიმდინარეობს შეფასების შედეგების ანალიზი და იგეგმება და ხორციელდება სათანადო ცვლილებები. სტუდენტის ცოდნის შეფასების რეგულაციები ითვალისწინებს საგამოცდო შეფასების გასაჩივრების წესს რომელიც განთავსებულია ვებგვერდზე. საგამოცდო და საბოლოო შეფასება სტუდენტისთვის ცნობილი ხდება გამოცდის დასრულებისთანავე. შედეგების გასაჩივრება შესაძლებელია მათი გამოცხადებიდან დადგენილ ვადებში და დადგენილი ფორმით, რომელიც ცნობილია სტუდენტისთვის. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის საბაკა ლავრო პროგრამა<br>○ პროგრამის სილაბუსები<br>○ ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის დებულება<br>○ სტუდენტთა აკადემიური მოსწრების სტატისტიკის ანალიზი<br>○ თსსუ – ის სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი<br>○ თსსუ - ის გამოცდებისა და უნარ - ჩვევების შეფასების ცენტრში გამოცდის ჩატარების წესი<br>○ USAID - ის საქართველოში ფიზიკური რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში თსსუ - ისა და ემორის უნივერსიტეტის მიერ განხორციელებული ტრენინგები - კლინიკური უნარების კურსები ( ივლისი - სექტემბერი , 2018 წელი<br>○ ინტერვიუს შედეგები |
| **რეკომენდაციები:**<br><br>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
